186
1929.6.II

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

34(05)
L-29.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. ივლისის 28 № 3 ნაწილი მეოთხე

## შინაარსი:

**ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებანი.**

3. დადგენილება—(ც. ა. კ-ის და ს. კ. ს. წევრების დანიშვნის შესახებ).
4. ცირკულარი—ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მიერ სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი სახევარი-მთვარის საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ საზღვარგარეთ, უცხო სახელმწიფოებში დარჩენილი ქონების მემკვიდრეების პრეტენზიის აღმოჩენისა და დაცვის საქმეში და აგრეთვე საბჭოთა მოქალაქეთაგან ამერიკის არმიის ყოფ. ჯარისკაცთა და მათ მემკვიდრეთა დოკუმენტების მოძებნისა და გაფორმების საქმეში.
5. ცირკულარი—სახალხო სასამართლოების სხდომებზე სათემო საბჭოების დაბარებისა წარმომადგენლების მეშვეობით მათი მონაწილეობის შესახებ ისეთი სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში, რაც მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლების დარღვევას შეეხება.
6. ინსტრუქცია—ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა შედგენილობისათვის მოქალაქეთა მიკუთვნების წესის შესახებ.

**სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.**

7. წესები—საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკათა მონაწილეობის შესახებ **საბიბლიოთეკათაშორისო** აბონემენტში უცხოეთის ბიბლიოთეკებთან.

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებანი.**

8. დებულება—საუწყებო მილიციის შესახებ.

**იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.**

9. სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლებულ დოკუმენტების, დაწესებულებების და პირების ნუსხის შევსების შესახებ.
10. სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლებულ დოკუმენტების, დაწესებულებების და პირების ნუსხის შევსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებანი.**

11. სია დაწესებულებათა და თანამდებობათა, რომელზედაც ვრცელდება დადგენილება მეცნიერების მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.

12. ინსტრუქცია—ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 15 დეკემბრის დადგენილების შესაფარდებლად სწავლისა და აღზრდის დაწესებულებებში მასწავლებელთა დანიშვნის წესის შესახებ.

---

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებანი.

## ვ. დადგენილება ც. ა. კ.

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 33 და 34 მუხლების თანახმად, მეოთხე მოწვევის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეხუთე სესია ადგენს:

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ქართველიშვილი ლარვენტი იოსების-ძე—განთავისუფლებულ იქნეს აღნიშნულ თანამდებობიდან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ამხ. მახარაძე ფილიპე იესეს-ძე განთავისუფლებულ იქნეს აღნიშნულ თანამდებობიდან და დაინიშნოს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ამხ. ცხაკაია მიხეილ გიორგის-ძე.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. მგალობლიშვილი გერმანე ანდრიას-ძე განთავისუფლებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარის თანამდებობიდან.

საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისრის თანამდებობაზე დაინიშნოს ამხ. ვაშაძე გალაქტიონ საჩინოს-ძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალირი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მგ. **ვ. სტურუა.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. მარტის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 52 №-ში 1929 წ. მარტის 6.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 4. დადგენილება ც. ა. კ.

**ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებას მიერ სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარი მთვარის საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ საზღვარგარეთ, უცხო სახელმწიფოებში დარჩენილი ქონების მემკვიდრეების პრეტენზიის აღმოჩენისა და დაცვის საქმეში და აგრეთვე საბჭოთა მოქალაქეთაგან ამერიკის არმიის ყოფ. ჯარისკაცთა და მათ მემკვიდრეთა დოკუმენტების მოძებნისა და გაფორმების საქმეში.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიაქცევს ყველა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოს ყურადღებას სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების იმ მოქმედებას, რაც მიზნად ისახავს, რომ აღმოჩენილ და უსასყიდლოდ დაცულ იქნეს კავშირის მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესი მათი პრეტენზიის მიხედვით საზღვარგარეთ, უცხო სახელმწიფოებში დარჩენილ ქონების მიმართ და აგრეთვე წარმოებულ იქნეს იმ საბჭოთა მოქალაქეების საქმე, რომელნიც ამერიკის არმიის ჯარისკაცებად იყვნენ ან იმ პირთა მემკვიდრეების საქმე, რომელნიც ხსენებულ არმიაში ყოფნის დროს, თუ 1914—1918 წ. წ. ომის დროს მოკლულ იქნენ და რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ სადასაზღვევო თანხა ვეტერანთა ამერიკის ბიუროსაგან.

ზემოხსენებულ თანხების მიღებას, რაც მრავალ მილიონ დოლარს ან ვერ-ვანქა სტერლინგს შეადგენს, ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ხსენებულ თანხების მიმღებ მოქალაქეთათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც ფრიად დაინტერესებულია უცხოეთის ვალიუტის შემოტანაში.

ზემოაღნიშნულის გამო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი წინადადებას აძლევს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ცენტრალურ ორგანოს მიიღონ სათანადო ზომები, რათა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების მეშვეობით ფართოდ ეუწყოს რესპუბლიკის მოსახლეობას, რომ იმ მოქალაქეებს, რომელთაც უცხო სახელმწიფოებში აქვთ ქონებრივი პრეტენზია ან იმ მოქალაქეებს, რომელთაც ეროვნათ სადასაზღვევო პრემია ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერანთა ბიუროსაგან და აგრეთვე მემკვიდრეებს, თუ ნათესავებს იმ ჯარისკაცებისას, რომელნიც ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების აომიაში იყვნენ,—შეუძლიანთ წარადგინონ თავიანი პრეტენზია სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების მეშვეობით, რისთვისაც მათ უნდა შეასრულონ ზოგიერთი ფორმალური მოთხოვნა.

რათა სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებამ რაც შეიძლება პეტის წარმატებით შეასრულოს მისთვის დაკისრებული ამოცანა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ავალებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და იუსტიციის სახალხო კომისარიატს—დაკისრონ თავის ქვემდებარე ადგილობრივ ორგანოებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა მათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებას და მის ადგილობრივ განყოფილებებს ზემოხსენებული კატეგორიის მოქალაქეების აღმოჩენის და მოძებნის საქმეში და რიგსგარეშე აწარმოონ იმ მოქალაქეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების გაფორმება, რომელნიც აცხადებენ პოტენზიის უცხოეთში დარჩენილ ქონებაზე,— სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოების სათანადო განმარტებების დაცვით. ხოლო იმ ადგილებში, სადაც სახალხო სასამართლო და სანოტარო დაწესებულება არ არის, იმ მოქალაქეთა ხელმონაწერის ან ვინაობის დამოწმება, რომელთაც აქვთ პრეტენზია საზღვარგარეთ დარჩენილი ქონების მიმართ, ან რომელთაც ერგებათ სადასახლეო თანხა ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების ვეტერანთა ბიუროსაგან, დაეკისრება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს (საბჭოებს).

ამასთანავე წინადადება ეძლევა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რათა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარი-მთვარის ცენტრალური ორგანოების მიერ და აგრეთვე სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოების მიერ გამოშვებული პლაკატები გამოჰკიდონ, მოსახლეობისათვის შესატყობინებლად, საბჭოების, სკოლების, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების, ქოხ-სამკითხველოების, ეკლესიათა სახლების, მილიციის და საფინანსო განყოფილებების სადგომებში და სხვა საჯარო ადგილებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1929 წ. თებერვლის 6.
ტფილისი—სასახლე.

---

## 5. ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲐᲠᲘ Ⓒ.Ⓐ.Ⓚ.

**სახალხო სასამართლოების სხდომებზე სათემო საბჭოების დაბარებისა წარმომადგენლების მეშვეობით მათი მონაწილეობის შესახებ ისეთ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში, რაც მიწის ნაციონალიზაციის საფუძვლების დარღვევას შეეხება.**

მიწის ნაციონალიზაციის საფუძველთა ფარულ და აშკარა დარღვევასთან (მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, თვითნებობით სხვა მიწაზე გადაცვლა და სხვ.) ბრძოლის საქმისათვის, გარდა ამგვარი დარღვევის ფაქტების გამოაშკარავებისა და დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 182 მუხლისამებრ დევნის აღძვრისა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა, მეტადრე სათემო საბჭოთა, მონაწილეობას სასამართლო პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ადგილებზე ამგვარი მონაწილეობის მნიშვნელობა არ არის ჯეროვანად შეფასებული და რამდენადაც აღნიშნული დარღვევის საქმე განხილულ იქნება ადგილობრივ ორგანოს წარმომადგენლის დაუბარებლად, იმდენად უფრო შესაძლებელია ეს საქმე გადაწყდეს არა ისე, როგორც ამას მოითხოვს მიწის კანონების დარღვევასთან ბრძოლის ინტერესები.

გარდა ამისა, აღნიშნულ საქმეთა განხილვაში სათემო საბჭოს მონაწილეობის საჭიროებას ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება, სახელდ-ბრ: ეს საქმეები უშუალოდ ეხებიან სათემო საბჭოს, როგორც ისეთ ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს მიწათსარგებლობას და რომლის განკარგულებაში უნდა გადავიდეს უკანონოდ გასხვისებული მიწის საფასური, და სწორედ ეს გარემოება ავალებს მას მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში როგორც ბრალმდებელმა ერთის მხრით და როგორც სამოქალაქო მოსარჩელემ მეორე მხრით.

სათემო საბჭოს მონაწილეობა ერთგვარი გარანტია იქნება იმისა, რომ სასამართლო იქ საკითხის გარდა, რაც ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის შედეგს შეეხება, განიხილავს აგრეთვე სხვა, მიწის კოდექსის 25 მუხლით გათვალისწინებულ დამატებითი შედეგების საკითხებსაც და თავის განაჩენში ამ შედეგებს (მიწის ჩამორთმევა და უკანონოდ მიღებულის გადახდევინება) მჭიდროდ დაუკავშირებს ბრალდებულებისათვის სისხ. სამ. კოდ. 182 მუხლისამებრ სოციალური დაცვის ღონისძიების გადაწყვეტას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სცნობს რა, რომ სათემო საბჭოს მონაწილეობა ბრალმდებელად (სისხ. სამ. საპრ. კოდ. 44 მუხ.) და სამოქალაქო მოსარჩელედ ისეთი სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რაც მიწის გამო უკანონოდ გარიგების დადებას შეეხება, აუცილებლად საჭიროა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს,—წინადადებას აძლევს ყველა სათემო საბჭოს მიიღოს მონაწილეობა, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, სასამართლოების მიერ აღნიშნულ საქმეთა განხილვაში ერთის მხრით როგორც ბრალმდებელმა ბრალდებისათვის სისხ. სამ. კოდ. 182 მუხლით მხარის დაჭერით, ხოლო მეორე მხრით, როგორც სამოქალაქო მოსარჩელემ მიწის ჩამორთმევისა და უკანონოდ მიღებულის გადახდევინების მოთხოვნით. ამასთან ერთად წინადადება ეძლევათ სახალხო სასამართლოებს—ყველა აღნიშნული საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად დაიბარონ ხოლმე უწყებების გაგზავნით სათემო საბჭოები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. მაისის 10.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 6. ინსტრუქცია ც. ა. კ.

**ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა შედგენილობისათვის მოქალაქეთა მიკუთვნების წესის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად 1928 წლ. თებერვლის 23-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის განსაკითარებლად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამყარებს შემდეგ წესს იმის გამოსარკვევად, თუ ვინ უნდა მიეკუთვნოს ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა შედგენილობას:

1. ყოფილ წითელგვარდიელთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ის მშრომელი, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის პერიოდში, ხოლო ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მუშათა და გლეხთა არმიის მოწყობამდე,—იბრძოდა წითელი გვარდიის რიგებში პროლეტარული ხელისუფლების მტერთა წინააღმდეგ.

2. ყოფილ წითელპარტიზანთა კატეგორიას მიეკუთვნება: ა) ის მშრომელი, რომელიც იმავე დროის განმავლობაში იარაღით ხელში იბრძოდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად—მენშევიკებისა, მუსავატელებისა და დაშნაკების ხელისუფლების წინააღმდეგ;

ბ) ის მშრომელი, რომელიც აღნიშნულ პარტიზანულ რაზმებს აქტიურ დახმარებას უწევდა.

3. იმის დადგენა, რომ ესა თუ ის პირი ეკუთვნის ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა რიცხვს ან რომ მას ამ უკანასკნელებთან კავშირი ქონდა, შეუძლიან სამაზრო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს.

**შენიშვნა.** განსაკუთრებულ შემთხვევაში ამა მუხლში აღნიშნული გარემოება შეიძლება დადგენილ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის მიერ.

4. მე-3 მუხლში აღნიშნული ორგანოები იმის გამოსარკვევად, ეკუთვნის თუ არა მოქალაქე ყოფილ წითელგვარდიელთა ან წითელ პარტიზანთა რიცხვს, გამოიყენებენ:

ა) წითელი არმიის საკადრო ნაწილებში მსახურ მეთაურთა მიმართ—იმ სამსახურის ნუსხებსა და სხვა საყარიცხვო მასალებს, რაც ინახება სათანადო სამხედრო ნაწილში და შტაბში;

ბ) წითელი არმიის თადარიგში მყოფ მეთაურთა მიმართ—იმ სამსახურის ნუსხებს და სხვა საყარიცხვო მასალებს, რაც ინახება საქართველოს სსრ ტერიტორიალურ სამმართველოში და სამაზრო სამხედრო კომისარიატებში;

გ) ყველა დანარჩენ მოქალაქეთა მიმართ—1) საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების ცნობებს; 2) წი-

თი გვარდიისა და წითელპარტიზანთა რაზმების ყოფილ ხელმძღვანელთა პირად მოწმობას; 3) სარწმუნო მოწმეების ჩვენებას; 4) დოკუმენტალური ხასიათის ცნობებს, რაც სისწორით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეს თუ ის პირი მონაწილეობას იღებდა წითელი გვარდიის რიგებში ან წითელ პარტიზანთა რაზმში ან რომ მას ამ უკანასკნელებთან კავშირი ჰქონდა და 5) ცნობებს, რაც ექნება სათემო (სარაიონო) და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

**შენიშვნა.** იმის გამოსარკვევად, ეკუთვნის თუ არა მოქალაქე ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა რიცხვს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამა მუხლში აღნიშნული დამამტკიცებელი საბუთები, როგორც თვითეული ცალკე, ისე რამდენიმე მათგანი ერთად.

5. დაინტერესებული პირი შეიტანს განცხადებას ამა თუ იმ მოქალაქის ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა შედგენილობისათვის მიკუთვნების შესახებ იმ ადგილის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში, სადაც წინად მოქმედებდა წითელგვარდიელთა ან წითელპარტიზანთა სათანადო რაზმი, ხოლო თუ ეს შეუძლებელია პატივსადები მიზეზების გამო,—განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნეს ცნობები, რაზედაც განმცხადებლის შუამდგომლობა ემყარება.

6. განცხადება შეუძლიან შეიტანოს როგორც იმ პირს, რომელიც ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა რიცხვს ეკუთვნის, ისე მის შემდეგ დარჩენილ ოჯახის წევრებსაც.

7. სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მიიღებს რა მე-5 მუხლში აღნიშნულ განცხადებას, განიხილავს მას დართული ცნობებითა და საბუთებით, შეაგროვებს და შეამოწმებს, თუ საჭირო იქნება, შესაფერ ცნობებს და გამოიტანს დადგენილებას, რომლითაც აღიარებს, რომ ის პირი, ვის გამოც განცხადება არის შეტანილი, ყოფილ წითელგვარდიელთა ან წითელპარტიზანთა რიცხვს ეკუთვნის, ან ამის აღიარებაზე უარს იტყვის.

უკეთუ აღძრული შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი მისცემს დაინტერესებულ პირს სათანადო მოწმობას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1929 წ. ივნისის 5.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 15-ს დადგენილებით (ოქმი № 2, § 50).

სსსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე—ს. სტეფანოვი.

## 7. წესები

### საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკათა მონაწილეობის შესახებ საბიბლიოთეკათაშორისო აბონომენტში უცხოეთის ბიბლიოთეკებთან.

საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს უფლება აქვთ გაგზავნონ დროებითი სარგებლობისათვის უცხოეთის ბიბლიოთეკებში, აგრეთვე მიიღონ მათგან, მომქმედ დებულებათა თანახმად, დაბეჭდილი და ხელნაწერი მასალები შემდეგი წესების მიხედვით:

1. საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკებს შეუძლიანთ უშუალოდ, ამ წესების მიხედვით, შეუთანხმდნენ უცხოეთის ბიბლიოთეკებს—ხელნაწერი და ნაბეჭდი მასალის დროებით ურთიერთი სარგებლობის შესახებ.

**შენიშვნა.** უცხოეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკათა მოთხოვნა, რაც გამოგზავნილი იქნება არა ბიბლიოთეკაში, არამედ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოს მეშვეობით, დაკმაყოფილდება ამგვარადვე.

2. უცხოეთის ბიბლიოთეკებიდან მიღებულ და ამავე ბიბლიოთეკებისადმი გაგზავნილ მოთხონლებაში აღნიშნული უნდა იყოს ის პირი, რომელსაც სპირდება სამეცნიერო მეცადინეობისათვის ესა თუ ის მასალა, აგრეთვე ისიც, რომ მიმღები ბიბლიოთეკა ვალდებულია შეასრულოს ეს წესები.

3. საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს, რომელნიც მონაწილეობას იღებენ საბიბლიოთეკათაშორისო აბონომენტში, უფლება აქვთ არ დაკმაყოფილონ უცხოეთის ბიბლიოთეკის მოთხოვნა, უკეთუ ხელნაწერისა ან ნაბეჭდი წიგნის მოთხოვნილი ეკზემპლიარი საჭიროა სამეცადინოდ თვით ბიბლიოთეკებისათვის. აგრეთვე უარი შეიძლება ეთქვას იმ წიგნებზედაც, რომლებსაც დიდი გასავალი აქვს, როგორიცაა: საცნობარო გამოცემანი, მიმდინარე პერიოდული გამოცემანი და სხვ.; ბიბლიოთეკას შეუძლიან აგრეთვე არ დაკმაყოფილოს მოთხოვნა რომელიმე გამოჩენილ ავტორიტეტის წიგნისა, ან განსაკუთრებით მხატვრული მნიშვნელობის ნაწარმოებისა, უფრო გაზეთებისა და, საერთოდ, ყველა იმ გამოცემის შესახებ, რის გაგზავნაც საშიშია დაცვის მხრით.

4. საბიბლიოთეკათაშორისო აბონომენტში მონაწილე ბიბლიოთეკა გარანტიას აძლევს მესაკუთრე ბიბლიოთეკას, რომ ამ ბიბლიოთეკის საკუთრების უფლება დროებითი სარგებლობისათვის მიღებული მასალის მიმართ ხელშეუხებელი იქნება: ამასთანავე მიმღები ბიბლიოთეკა პასუხისმგებელია მასალის მოვლა-დაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისათვის და უკეთუ მასალა დაიკარგა ან გაფუჭდა, მიმღები ბიბლიოთეკა მოვალეა აუნაზღაუროს მესაკუთრე ბიბლიოთეკას მთელი ზარალი.

5. მიმღებ ბიბლიოთეკას უფლება არა აქვს გადაიღოს ფოტოგრაფიულად ან გამოსცეს ესა თუ ის მასალა გარეშე მესაკუთრე ბიბლიოთეკის სპეციალური ნებართვისა. საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ დროებით სახმარებლად უცხოეთის ბიბლიოთეკისათვის გაგზავნილი ხელთნაწერისა თუ წიგნის ფოტოგრაფიულად გადაღების ან გამოცემის ნებართვა გაიცემა მარტოოდენ განათლების სახალხო კომისარიატის თანხმობით; ამასთანავე მიმღები ბიბლიოთეკა ვალდებულია გამოუგზავნოს მესაკუთრე ბიბლიოთეკას ორ-ორი ცალი თვითეული ფოტოგრაფიული გადანაღებისა და თითო ცალი ნაბეჭდი ნაშრომისა, რაც კი შედგენილ იქნება გამგზავნ ბიბლიოთეკის მასალის მიხედვით.

6. დროებითი ხმარებისათვის გასაგზავნი მასალის გაგზავნისა და დაზღვევის ყოველგვარი ხარჯი დაეკისრება მიმღებ ბიბლიოთეკას.

7. გასაგზავნი მასალა შეფუთვილი უნდა იყოს სათანადოდ და უზრუნველჰყოფდეს გაფუჭებისა და დაზიანებისაგან; მასალის დაბრუნებისას მიმღები ბიბლიოთეკა პასუხს აგებს სათანადო შეფუთვისა და დაზღვევისათვის.

8. საქართველოს სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკები ვალდებულ არიან აცნობონ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამართველოს თვითეულ შემთხვევაში ყოველი შეთანხმება, რაც კი დადებულ იქნება, ამა წესების საფუძველზე, უცხოეთის სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან.

---

# შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებანი.

## 8. დ ე გ ულ ე ბ ა

### ხაუწყებო მილიციის შესახებ.

(გამოტეგმულია საქართველოს ს. ს. რ. ცაკისა და სახკომსაბჭოს 1925 წლის 2 ოქტომბრის № 55 დადგენილების თანხმად).

**შეთანხმებულია:**

1. საქართველოს ს.ს.რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.
2. „ „ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან.
3. „ „ ჯანმრთელობის „ „
4. „ „ იუსტიციის „ „
5. „ „ მ/გ. ინსპექციის „ „
6. „ „ შრომის „ „
7. „ სახელმწიფო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან.
8. „ სახელმწიფო პოლიტსამმართველოსთან.

9. საკ. ს.ს.რ. გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ა/კავკასიის სამმართველოსთან.
10. ა/კსფსრ ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოსთან საქ. ს. ს. რესპუბლიკაში.
11. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავ. ცენტრალურ გამგეობასთან.
12. საქ. პროფესიონალურ საწარმოო კავშირთა საბჭოსთან.

„ვამტკიცებ“ საქართველოს ს.ს.რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე—
**ბერაძე.**

25 ივნისი 1929 წ.

## თ ა ვ ი I.

### ზოგადი დებულებანი

1. საუწყებო მილიცია შედის რა საერთო სახელმწიფო მილიციის შემადგენლობაში, მისი დანიშნულებაა:

ა) შეიარაღებული დაცვა სხვადასხვა ქონებისა, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოს და დაწესებულებას, და აგრეთვე ისეთი ქონებისა, რომელიც კერძო საწარმოს ეკუთვნის, მაგრამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

**შენიშვნა.** თვითეული ცალკე კერძო საწარმოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საწარმოთ ცნობის უფლება ეკუთვნის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმს.

ბ) ყველა იმ მოვალეობათა შესრულება, რაც შეეხება წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვას აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ დაკავებულ ტერიტორიის ფარგლებში;

გ) იმავე ტერიტორიის ფარგლებში მოკლევის წარმოება „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ ამოცანებიდან გამომდინარე მოვალეობათა შესრულების გამო.

2. საუწყებო მილიცია მოიწყობა განსაკუთრებულ შტატით, რომლის შესანახ ხარჯებს გაიღებს ის საწარმოო და დაწესებულება, რომელსაც საუწყებო მილიცია ემსახურება. საპირო რიცხვი პირადი შემადგენლობის და აგრეთვე იმ თანხებისა, რაც გადებულ უნდა იქნეს ამ მიზნისათვის განისაზღვრება განსაკუთრებულ ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება სათანადო ადმინისტრატიულ განყოფილებისა (მაზრის მილიციის სამმართველოს) და დაწესებულებათა და საწარმოთა ადმინისტრაციის შორის.

**შენიშვნა 1.** უკეთუ დაცვის პირობების გამო დაწესებულების ან საწარმოს ადმინისტრაცია საპიროდ სცნობს ისარგებლოს სისხლის სამართლის სამძებრო თანამშრომლების მომსახურეობით სისხლის სამართლის დანაშაულობასთან საბრძოლველად, იმ შემთხვევაში ისეთი თანამშრომლები შეიყვანებიან დაცვის შტატში სპეციალურ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დაიდება ამ დებულების წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა 2.** ხელშეკრულება საუწყებო მილიციის მოწყობისა და სისხლის სამართლის სამძებრო თანაშრომლებით სარგებლობის შესახებ შეიძლება დადებულ იქნეს აგრეთვე ცენტრშიაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ცენტრალურ დაწესებულება და უწყებებთან ამ დაწესებულება და უწყებათა ყველა პერიფერიებისათვის.

**შენიშვნა 3.** ეს მუხლი არ ვრცელდება საკონცესიო წარმოებებზე საუწყებო მილიციის მოწყობის შესახებ, რაც განხორციელდება სპეციალურ დებულების საფუძველზე.

3. საუწყებო მილიცია არ არის პასუხისმგებელი მატერიალურად იმ ზარალისა და დაკარგვისათვის, რაც შეიძლება მიყენებულ იქნეს დაწესებულება ან წარმოებისათვის საუწყებო მილიციის თანამდებობის პირთა მიერ დაცვის სამსახურის წესების არა სწორად შესრულების შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევებში შეიძლება აღძრულ იქნეს საკითხი საუწყებო მილიციის დანაშავე თანამდებობის პირთა სასამართლოს ან სადისციპლინო წესით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ამავე საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია საერთო სახელმწიფო მილიციის სათანადო თანამდებობის პირთათვის.

4. საუწყებო მილიცია ექვემდებარება საერთო სახელმწიფო მილიციის მიმართ მომქმედ ყველა კანონებს, დებულებებს, ბრძანებებს, ინსტრუქციებს და განკარგულებებს და სარგებლობს ყველა მისთვის მიკუთვნილ უფლებებით.

5. ცალკე დაწესებულებათა და საწარმოთა ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით, საუწყებო მილიცია დაიყოფება სპეციალურ სახეებად, რომელთაც მიეკუთვნება სახელწოდება: სამთო-მადნო, სარეწაო, საფაბრიკო, საქარხნო, სავაგონო-სამრეწველო, საკრედიტო-საფინანსო, საკურორტო, წყლის და სხვ.

6. ზემოაღნიშნულ საუწყებო მილიციის ცალკე სახეებზე დაკისრებული სამსახურებრივი და სპეციალური მოვალეობანი განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი შრომის სახალხო კომისარიატთან და საბჭოთა მუშაკების პროფკავშირთან შეთანხმებით, და აგრეთვე საუწყებო მილიციის დაცვის სამსახურის დეტალურად მოწესრიგებისათვის ადგილობრივი ადმინისტრატიული განყოფილებათა მიერ შემუშავებულ განსაკუთრებულ წესებით, რომელიც შეთანხმებულ უნდა იქნეს საწარმოო და დაწესებულებათა ადმინისტრაციასთან, ამ დაწესებულებათა და საწარმოთა გამაერთიანებელ უმაღლესი ადმინისტრატიული ორგანოებთან და აგრეთვე სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან მთავრობის ზედამხედველობის ორგანოებთან, რომელიც დამტკიცებულ უნდა იქნეს მაზრის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის მიერ.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში საუწყებო მილიცია მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმის განკარგულებით დროებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც შეიარაღებული ძალა სახელმწიფო მილიციასთან საერთო საფუძველზე, როგორიცაა:

ა) სტიქიურ უბედურობასთან საბრძოლველად;

ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების მასიური დარღვევის საღიკვიდაციოთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა



გ) განგაშში და მასიური გაჩხრეკებში მონაწილეობის მისაღებად.

8. საუწყებო მილიციის პირადი შემადგენლობა სარგებლობს ყველა იმ სამსახურებრივი უფლებებით და უპირატესობით, რაც მიკუთვნილი აქვს საერთო სახელმწიფო მილიციის სათანადო თანამდებობის პირთ.

9. თავის საერთო და სპეციალური მოვალეობათა დარღვევისათვის საუწყებო მილიციის პირადი შემადგენლობა პასუხს აგებს დისციპლინარული და სასამართლოს წესით იმავე საფუძველზე, როგორც საერთო სახელმწიფო მილიციის პირადი შემადგენლობა.

10. თავის სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს ყველა სახის საუწყებო მილიციის პირად შემადგენლობას უნდა ჰქონდეს სათანადო იარაღი და პირადობის მოწმობა დაკავებულ თანამდებობის მიხედვით, და, გარდა ამისა, უნდა აღაროს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ფორმის ტანსაცმელი და გასარჩევი ნიშნები.

## თავი II.

### მმართველობის ორგანიზაცია.

11. ყველა სახის საუწყებო მილიციისადმი საერთო ხელმძღვანელობა და მისი საქმიანობის წარმართვა ეკუთვნის საქ. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსს.

12. ყველა ბრძანებები, ცირკულიარები და განკარგულებანი, რაც შეეხება საუწყებო მილიციის ცალკე სახეების სპეციალურ სამსახურის მოწესრიგებას და რომელთაც გამოსცემს საქ. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსი საჭირო შემთხვევაში შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო უწყებებთან.

13. საუწყებო მილიციის მოწყობისა და სამსახურისათვის ზედამხედველობისა და კონტროლის გასაწევად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ სამმართველოში არსდება სათანადო შტატი ინსპექტორისა, რომელსაც დაამტკიცებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

14. საუწყებო მილიციის მოწყობისა და საქმიანობის უშუალო ხელმძღვანელობა დაეკისრება სათანადო მაზრის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებათა უფროსებს (მაზრის მილიციის უფროსებს).

**შენიშვნა.** უკეთუ საწარმოს ან დაწესებულების დასაცავი ტერიტორია სცილდება მაზრის ფარგლებს, საუწყებო მილიციის საერთო ხელმძღვანელობა ეკისრება საქ. ს. ს. რ. მილიციის უფროსის განკარგულებით იმ მაზრის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსს (მილიციის უფროსს), რომლის ტერიტორიაზედაც არის აღნიშნულ დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელი ადმინისტრატიული ორგანო.

15. უკეთუ მაზრის ტერიტორიაზე არის არა ნაკლებ 15 საწარმო დაწესებულებისა, რომელსაც საუწყებო მილიცია იცავს ან საუწყებო მილიციის საერთო რიცხვი 150 კაცს აღემატება, საუწყებო მილიციის მოწყობისა და სამსახურისათვის ზედამხედველობისა და კონტროლის გასაწევად მაზრის ადმინისტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიულ განყოფილებასთან არსდება სათანადო შტატი საუწყებო მილიციის ინსპექტორისა, რომელიც შეინახება დასაცავ საწარმოს და დაწესებულებიდან მიღებული საორგანიზაციო ხარჯების თანხაზე. საწარმო და დაწესებულებათა რაოდენობის ან საუწყებო მილიციის შემადგენლობის სიმცირის დროს აღმინისტრატიულ განყოფილების შტატი სათანადო აღმასკომის ნებართვით შეიძლება გაძლიერებულ იქნეს ტეხნიკური თანამშრომლებით საუწყებო მილიციის თანხების ანგარიშზე.

16. საუწყებო მილიციის ინსპექტორი უშუალოდ ექვემდებარება აღმინისტრატიულ განყოფილების უფროსის თანაშემწეს სამილიციო ნაწილში.

17. საწარმოში და დაწესებულებაში, სადაც საუწყებო მილიციის პირადი შემადგენლობა 50 კაცით განისაზღვრება და უფრო მეტით, დასაცავ საწარმოს და დაწესებულების ანგარიშზე მოეწყობა საუწყებო მილიციის რაიონი—რაიონის უფროსის, ერთი ან ორი საქმის მწარმოებლის და მემანქანე—გადამწერის შემადგენლობით.

**შენიშვნა.** იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოში და დაწესებულებაში საუწყებო მილიციის შემადგენლობა 50 კაცზე ნაკლებია, საუწყებო მილიციის რაიონი შეიძლება მოწყობილ იქენეს მხოლოდ საწარმოს ან დაწესებულების თანხმობით.

18. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოში და დაწესებულებაში საუწყებო მილიციის შემადგენლობა 50 კაცზე ნაკლებია, მის სათავეში სდგას უფროსი, რომელიც სარგებლობს საერთო სახელმწიფო მილიციის რაიონის უფროსის თანაშემწის უფლებებით.

19. საწარმოებში საუწყებო მილიციის უფროსი ასრულებს განკარგულებებს: 1) როგორც უშუალო უფროსისა—რაიონის მილიციის უფროსის და 2) საწარმოს ქონების დაცვის ნაწილში—აღრიცხულ საწარმოს სათავეში მდგომ პირისას, ხოლო სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა დაცვის ნაწილში—გარნიზონის უფროსისას.

20. საუწყებო მილიციის მოწყობის დროს თვითეულ 10—15 უმცროს მილიციელზე, რომლებიც ცალკე საწარმოში იმყოფებიან უნდა დაარსდეს გუნდის უფროსის თანამდებობა. იმ საწარმოში, სადაც არის საუწყებო მილიციის რაიონი (მუხ. 17) თვითულ 10 უმცროს მილიციელზე არსდება უფროსი მილიციელის თანამდებობა და 25 მილიციელზე—უბნის ზედამხედველის თანამდებობა.

21. საუწყებო მილიციის რაიონი (მუხ. 17) საწარმოში და დაწესებულებებში არსებობს საერთო სახელმწიფო მილიციის რაიონის უფლებებით და დამოუკიდებლად სპეციალური მოვალეობათა შესრულებისა, რაც საუწყებო მილიციას ევალება ასრულებს ყველა მის სამსახურებრივი ფუნქციებს საწარმოთა ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრებ მშრომელ მოსახლეობის მოსამსახურეების საქმეში, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს დადებულ ხელშეკრულებით.

№ 3

## თავი III.

### მოწყობის წესი.

22. საუწყებო მილიციის მოწყობის საჭიროების შემთხვევაში, მასში დაინტერესებული საწარმო და დაწესებულება წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს აღგილმდებარეობის მიხედვით სათანადო მაზრის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას.

23. უკეთუ დასაცავი ტერიტორია სცილდება მაზრის ფარგლებს, ზემოთ აღნიშნული შუამდგომლობა საწარმოს და დაწესებულების მიერ იმ მაზრის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის მეშვეობით, რომელშიაც იმყოფება ხელმძღვანელი ორგანო და ხსენებულ აღმინ. განყოფილების უფროსის დასკვნასთან ერთად გაეგზავნება საქ. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსს.

24. საუწყებო მილიციის დაარსების აუკილებლობის გამორკვევის შემდეგ დაინიშნება განსაკუთრებული კომისია მილიციისა, დაინტერესებულ დაწესებულების ან საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელიც წინასწარ დააწესებს დასაცავ ტერიტორიის საზღვარს, შეიმუშავებს შტატს და დააწესებს ვადას, რომლის განმავლობაშიაც *უნდა მოეწყოს საუწყებო მილიცია და მისი მატერიალურად მომზადების პირობებს*, რის შესახებ შესდგება სათანადო აქტი.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შეცვლა მოხდება აღნიშნულ მუხლის დაწესებულ წესისამებრ.

25. აღნიშნულ კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ სათანადო ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის და დაწესებულების ან საწარმოს ადმინისტრაციის შორის დაიდება წერილობითი ხელშეკრულება საუწყებო მილიციის მოწყობის შესახებ იმ საფუძველზე, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-27 მუხლში.

26. უკეთუ ტერიტორია, რომელსაც საუწყებო მილიცია ემსახურება მაზრის ფარგლებს არ სცილდება, ხელშეკრულებას დასდებს და ხელს მოაწერს ერთის მხრივ სათანადო მაზრის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ან მისი რწმუნებული, მეორეს მხრივ საწარმოს ან დაწესებულების წარმომადგენელი.

მხოლოდ თუ საუწყებო მილიციის მიერ დასაცავი ტერიტორია სცილდება მაზრის ფარგლებს, ხელშეკრულების დადების უფლება ეკუთვნის საქ. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსს ან მის მიერ რწმუნებულ პირს.

27. ხელშეკრულება საუწყებო მილიციის მოწყობის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) სად, როდის და ვის მიერ არის დადებული ხელშეკრულება;

ბ) განსაზღვრა იმ ტერიტორიის ფარგლებისა და ქონებისა, რომელიც დაცულ უნდა იქნეს;

გ) დღე-ღამის, ღამის და დღის საგუშაგოების რიცხვი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მილიციელთა, საკომანდო და ადმინისტრატიულ სამნეო შემადგენლობათა რიცხვი, რაც საჭიროა საწარმოს ან დაწესებულების მოსამსახურებისათვის, მილიციის მომუშავეთა სამუშაო დროის შესახებ ყველა კანონმდებლობათა დაცვით.

ე) ცალკე იმ თანხების რაოდენობა, რომელიც გაღებულ უნდა იქნეს ხელფასისათვის; შრომის კოდექსით და მილიციის სამსახურის დებულებით გათვალისწინებული შვებულება და კომპენსაციისათვის; სანივთო კმაყოფისათვის, შეიარაღებისათვის, ადგილკომის შესანახად, სოციალურ დაზღვევისათვის, საორგანიზაციო და სხვ. სამეურნეო ხარჯებისათვის საუწყებო მილიციისადმი, და აგრეთვე გადახდის ვადებს;

ვ) ბინის მიცემას საწარმოს ანგარიშზე საუწყებო მილიციის მუშაკების საერთო საცხოვრებლისათვის ამ დებულების მე30-ე მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ შემთხვევაში.

ზ) ჩაცმა-დახურვის საგნები, საქურეველის და ცხენების გამოყენების წესს ხელშეკრულების მოქმედების გათავების შემდეგ;

თ) საწარმოში უკვე არსებულ დაცვის ორგანოებთან ურთიერთობის წესს;

ი) ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

კ) უკეთუ საწარმოში არის კულტურული და სანიტარული დაწესებულება (სკოლა, ბაგა, საბავშვო ბაღი, ამბანო, სამრეცხეველო და სხვ.) ხელშეკრულებაში შეიძლება აგრეთვე აღინიშნოს ამ დაწესებულებით საუწყებო მუშაკების მიერ სარგებლობის წესი და პირობები.

## თავი IV.

### პირადი შემადგენლობის შევსება და მატერიალური მომარაგება.

28. საუწყებო მილიციის პირადი შემადგენლობის შევსება ხდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საერთო სახელმწიფო მილიციისათვის.

**შენიშვნა.** საწარმოს და დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება ენიჭება დასაბუთებული განრიდება განაცხადოს ამა თუ იმ სამსახურში მისაღებ ცალკე პირის შესახებ.

29. დანიშვნა, გადაყვანა და დათხოვნა საუწყებო მილიციის თანამდებობის პირთა მოხდება ადგილებზე სათანადო მილიციის ორგანიების მიერ საერთო-სახელმწიფო მილიციისათვის დაწესებულ წესით, საკონცესიო წარმოებებზე საუწყებო მილიციის უფროსი საკომანდო შემადგენლობის გამოკლებით, ამ პირთა დანიშვნა, გადაყვანა და დათხოვნა მოხდება საქ. ს. ს. რესპუბლიკის მილიციის უფროსის თანხმობით.

30. საუწყებო მილიციის მომარაგება სანივთო კმაყოფის ყველა საგნებით და საქურეველთ, ცხენის შემადგენლობით, შეიარაღებით, საომარი მასალით, საერთო სახელმწიფო მილიციისთვის დაწესებულ ნორმის მიხედვით, დაკმაყოფილება ხელფასით და ყოველგვარ კომპენსაციით, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონთა კოდექსით, და აგრეთვე მ/გ. მილიციის შესახებ არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ დებულებით, სოციალურ დაზღვევის ანარიცხებისა და ადგილკომის შესანახი თანხების გადახდა დაწესებულ ნორმის მიხედვით, საუწყებო მილიციის მუშაკების სახელმწიფო დაზღვევა, და აგრეთვე საორგანიზაციო სამეურნეო ხარჯების გადახდა, რომელიც გამოიანგარიშება ნამდვილ მოთხოვნილების რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 3%-ისა სახელმწიფო საწარმო და დაწესებულებათათვის და 5%-ისა ყველა დანარჩენებისათვის ყველა გადასახდელი თანხებიდან მიეკუთვნება მთლიანად ხელშეკრულების ფარგლებში, იმ საწარმო და დაწესებულებას, რომელსაც ემსახურება საუწყებო მილიცია.

გარდა ამისა საწარმო და დაწესებულება, რომელშიაც დებულების მე-17 მუხლის თანახმად, მოეწყობა საუწყებო მილიციის რაიონი, ვალდებულია დაუთმოს ბინა კანცელარიისა და მარქაფის მოსათავსებლად.

**შენიშვნა.** იმ შემთხვევაში, როდესაც დაცვის თვალსაზრისით საპირო არის საუწყებო მილიციის მუდმივი ყოფნა საწარმოს ან დაწესებულების ტერიტორიაზე, ასეთები ვალდებულნი არიან მისცენ თავიანთ ანგარიშზე ბინა—საერთო საცხოვრებელი საუწყებო მილიციის მუშაკთათვის. ასეთივე ბინა უნდა მიეცეს საწარმოს ან დაწესებულების მიერ თავიანთი ანგარიშზე იმ შენთხვევაშიაც, როდესაც ასეთები დაშორებულია დასახლებულ პუნქტიდან ორი კილომეტრზე უფრო მეტი მანძილით და როდესაც არ არის მოხერხებული გადასაყვანი საშუალება (როგორიცაა: ტრამვაი, რკინის გზა, საავტომობილო მიმოსვლა და სხვა).

31. საუწყებო მილიციის თანამდებობის პირთა ხელფასი განისაზღვრება საქ. ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახკომის სათანადო ორგანოების მიერ ხელფასის სახელმწიფო ნორმის წესისამებრ არა ნაკლებ იმ განაკვეთისა, რაც დაწესებულია საერთო სახელმწიფო მილიციის სათანადო თანამდებობის პირთათვის იმ მაზრაში და რაიონებში, რომლის ტერიტორიაზედაც მოწყობილია საუწყებო მილიცია.

32. ყველა ფულადი თანხა, რაც გაღებულ უნდა იქნეს საუწყებო მილიციის შესანახად, საწარმოს და დაწესებულების მიერ შეიტანება სახელმწიფო ბანკის იმ ადგილობრივ დაწესებულებაში, რომელიც სალაროს მხრივ სამსახურს უწევს ადგილობრივ ხარჯთ-აღრიცხვას, იმ წესით და ვადებში, რაც აღნიშნულია ხელშეკრულებაში.

33. საწარმო და დაწესებულებიდან საუწყებო მილიციის შესანახად შემოსული საშუალებანი, აგრეთვე საუწყებო მილიციის შესანახად გაწეული ხარჯები უნდა იქნეს გატარებული ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლის და გასავლის სათანადო მუხლების მიხედვით.

34. საოგანიზაციო სამეურნეო ხარჯებისათვის მიღებული თანხა (მუხ. 30) სათანადო მაზრის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის განკარგულებით შეიძლება მოხმარდეს განსაკუთრებით შემდეგ მოთხოვნილებებს საუწყებო მილიციისადმი:

ა) მაზრის აღმასკომის ადმინგანყოფილებაში საუწყებო მილიციის აპარატის შესანახად (მუხ. 5);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საუწყებო მილიციის მომარაგების კანონმდებლობით, და აგრეთვე დებულებით და ინსტრუქციებით, რაც შეეხება მისი სამსახურის მოწესრიგებას;

გ) საკანცელარიო და საფოსტო სატელეგრაფო ხარჯებს;

დ) საუწყებო მილიციის საჭიროებისათვის ბინის დაქირავებას და მოწყობას;

ე) საპირო ცოცხალ და მკვდარ ინვენტარის შეძენას და შენახვას.

35. საუწყებო მილიციის პირადი შემადგენლობისა, ცხენებისა და აგრეთვე საფულე და სანივთო კმაყოფის ანგარიშის წარმოების წესი განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქ. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

36. ყველა ქონებრივი დავა, რომელიც აღიძრება ხელშეკრულების გარშემო უნდა გადაწყდეს:

ა) სახელმწიფო საწარმო და დაწესებულებებთან—სათანადო საარბიტრაჟო კომისიაში;

ბ) კერძო საწარმო და დაწესებულებებთან, რომელთაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ—საერთო სასამართლოებში.

**შენიშვნა.** ყველა დანარჩენი დავა და გაუგებრობა გადაწყვეტილ უნდა იქნეს ადმინისტრატიული ინსტანციის წესით.

## თავი V.

## დაშლის წესი.

37. არა უგვიანეს ერთი თვისა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე დაწესებულების და საწარმოს ადმინისტრაცია, რომელსაც საუწყებო მილიცია ემსახურება, ვალდებულია წერილობით აცნობოს სათანადო ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსს წინანდელ ან სხვა პირობებში ხელშეკრულების განახლების სურვილის შესახებ.

38. საწარმო ან დაწესებულების მიერ წინა მუხლში მოხსენებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადებული ხელშეკრულება რჩება ძალაში ერთი თვის განმავლობაში დღიდან მისი მოქმედების გასვლისა ყველა მისგან გამომდინარე ვალდებულებებით.

39. კანონიერ მიზეზად ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისათვის ჩაითვლება:

ა) უკეთუ არ იქნება განახლებული ხელშეკრულება სათანადო ადმინისტრატიულ განყოფილების და საწარმოს და დაწესებულების შორის შეთანხმებით მისი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) უკეთუ ხელშეკრულება გაუქმებულ იქნება სასამართლოს დადგენილებით ან მხარეთა შეთანხმებით;

გ) უკეთუ ადგილი ექნება მრავალ ნაკლებს საუწყებო მილიციის მიერ აღნიშნულ საწარმოს დაცვის განხორციელებაში, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობას, ან ასეთის ვადის გადაცილებას სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოს მხრიდან, შეუძლიან გამოიწვიოს ვადამდე ხელშეკრულების გაუქმება,— ამისათვის დაწესებულ წესისამებრ.

40. დასაშლელი საუწყებო მილიციის სანივთო კმაყოფის და საკურეველის ყველა საგნები, ცხენები და აგრეთვე ყოველგვარი ქონება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების მიხედვით გადაეცემა აღწერილობით ან დაინტერესებულ დაწესებულებას და საწარმოს საკუთრებად, ანდა ჩაბარდება სათანადო მაზრის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსს (მაზრის მილიციის უფროსს).

41. ის იარაღი და საომარი მასალა, რომელიც დასაშლელ საუწყებო მილიციაზე ირიცხება აუცილებლად უნდა გადაეგზავნოს აღწერილობით სათანადო მაზრის ადმინისტრატიულ განყოფილებას (მაზრის მილიციის სამმართველოს).

**შენიშვნა.** უკეთუ აღნიშნული იარაღი და სასროლი მასალა შეძენილი იყო საწარმოს და დაწესებულების ხარჯზე, მაშინ მათ უნდა მიეცეს ასეთის ღირებულება იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დადების დროს.

42. საუწყებო მილიციის შენაერთების დაშლის დროს საუწყებო მილიციის ყველა თანამშრომლები დაკმაყოფილებულ უნდა იქნენ ფულადი ჯილდოთი იმ წესით, რაც გათვალისწინებულია შრომის მომქმედ კანონმდებლობის და აგრეთვე მ/გ. მილიციის შესახებ არსებულ დებულებით.

43. საუწყებო მილიციის დაშლის შენაერთების თანამშრომლები სარგებლობენ უპირატესობით საუწყებო მილიციის ახლად მოსაწყობ შენაერთებში სამსახურში ჩარიცხვის, ან საუწყებო მილიციის შტატების გაფართოების დროს, და აგრეთვე საერთო სახელმწიფო მილიციის აღნიშნულ ადმინისტრატიულ განყოფილების მოქმედების რაიონში 4 თვის განმავლობაში დღიდან დაშლისა.

44. დაშლის საუწყებო მილიციის ყველა საქმეები და მიმოწერა უნდა გადაეცეს აღწერილობით სათანადო მაზრის ადმინისტრატიულ განყოფილებას.

შინ. საქ. სახ. კომ. ადმინისტრატიულ სამ. უფროსის—რესპუბლიკის მილუფროსის მოადგილე **მაკავარიანი.**

---

# იუსტიციისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების განკარგულებანი.

## 9. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლებული დოკუმენტების, დაწესებულებების და პირების ნუსხის შევსების შესახებ.**

საქართველოს სსრ იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატების საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 104 მუხლის საფუძველზე (კან. კრებ. 1928 წ. № 16, მუხ. 157) ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლებული დაწესებულების პირების და დოკუმენტების ნუსხის 1928 წლის აპრილის 10-ის („საბჭოთა სამართალი“ № 9-1928 წ.) 1 მუხლს დაემატოს 12¹ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

პ. 12¹. თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის მეგობართა „თავდაცვა-ავიაქიმის“—საკავშირო საზოგადოებათა კავშირი, ამ კავშირით გაერთიანებული საზოგადოებანი და მათი ადგილობრივი ორგანიზაციები, აგრეთვე ის საწარმონი, რომელნიც ეკუთვნიან „თავდაცვა-ავიაქიმის“ საზოგადოებათა კავშირს, ზემოხსენებულ საზოგადოებებს და ორგანიზაციებს, გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმების დროს, უკეთუ ამ გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულოა კანონით (სსრკ კან. კრებ. 1928 წ. № 8, მუხ. 69).

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგ. **ი. ტალახაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგ. **ი. ფანცხავა.**

1929 წ. მარტის 11.

---

## 10. დადგენილება

**სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლებულ დაწესებულებების, პირების და დოკუმენტების ნუსხის შევსების შესახებ.**

საქართველოს სსრ იუსტიციის და ფინანსთა სახალხო კომისარიატები სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 104 მუხლის საფუძველზე (კან. კრებ. 1928 წ. № 16 მუხ. 157) ადგენენ:

1928 წლ. აპრილის 10-ს გამოცემული სანოტარო გამოსაღებისაგან განთავისუფლებული დაწესებულებების, პირების და დოკუმენტების ნუსხის (კან. კრებ. 1928 წ. მე-2 ნაწ. № 3, მუხ. 14) 1 მუხლს დაემატოს 12² პ. შემდეგი შინაარსით:

12². სოციალური დაზღვევის ორგანოები.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგ. **ი. ტალახაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **გ. ვაშაძე.**

1929 წ. აპრილის 25.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულება.

## 11. ს ი ა

**დაწესებულებათა და თანამდებობათა, რომლებზედაც ვრცელდება დადგენილება მეცნიერების მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ.**

თანახმად ს. ს. ს. რ. ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-10 მუხლისა (უმაღლეს სასწავლებლის აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო დარგში მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ) დამტკიცდეს შემდეგი სია დაწესებულებათა და თანამდებობათა, რომლებზედაც ვრცელდება ხსენებული დადგენილება.

განათლების სახალხო კომისარიატიდან:

1. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
2. საქართ. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი ვ. ი. ლენინის სახელობის,
3. ა/ჯ. კომუნისტური უნივერსიტეტი,
4. საქართველოს სამხატვრო აკადემია,
5. სახელმწიფო კონსერვატორია,
6. საქართველოს მუზეუმი,
7. საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია,
8. საქართველოს სასტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი,
9. რევოლიუციის მუზეუმი,
10. ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი,
11. ეროვნული სამხატვრო გალერეია,
12. საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა,
13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი,
14. საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი,
15. საქართველოს წიგნის პალატა,
16. კარტოგრაფიული ინსტიტუტი,
17. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო,
18. ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტი,
19. ქუთაისის სასტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმი,
20. სამეგრელოს მუზეუმი,
21. აფხაზური ენის აკადემია.

აღნიშნულ დაწესებულებათაგან პენსიას, დადგენილების თანახმად, მიიღებს ყველა, ვინც კი ითვლება სამეცნიერო მუშაკთა სექციის წევრად.

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატიდან:

1. ტფილისის ბოტანიკური ბაღი,
2. ცენტრალური ზოოტეხნიკური სადგური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მანქანა იარაღების საცდელი სადგური,
4. ცენტრალური სააბრეშუმო სადგური,
5. თესლის საკონტროლო სადგური,
6. ცენტრალური სატყეო სადგური,
7. აფხაზეთის სასოფლო სამეურნეო საცდელი სადგური,
8. ბათომის ბოტანიკური ბაღი,
9. სრ. საქ. ექსპერიმენტალური აგრონომიის ინსტიტუტი,
10. ყარაიის საცდელი სას. სამ. სადგური,
11. აჯამეთის საცდელი სას. სამ. სადგური,
12. კახეთის მევ. მეღვ. საცდელი სადგური,
13. საქართვ. მევ. მეღვ. საცდელი სადგური,
14. ქუთაისის სააბრეშუმო სადგური,
15. ჩაქვის ჩაის საცდელი სადგური,
16. ოზურგეთის ჩაის საცდელი სადგური,
17. ზუგდიდის ჩაის საცდელი სადგური.

აღნიშნულ დაწესებულებათაგან პენსიის მიღების უფლება აქვს ყველას ვინც კვალიფიცირებული იქნება, როგორც მეცნიერი მუშაკი და აღრიცხული განათლების მუშაკთა სამეცნიერო სექციაში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატიდან:

1. ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი,
2. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი,
3. სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტი,
4. თვალის სნეულებათა ინსტიტუტი,
5. სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტი,
6. ბათომის კარანტინი,
7. პროფესიონალურ ავადმყოფობათა შესწავლის ინსტიტუტი,
8. ბაქტეოროლოგიური ინსტიტუტი,
9. ტროპიკური ინსტიტუტი,
10. ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტი,
11. პედოლოგიის ინტიტუტი,
12. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოამბე.

აღნიშნულ დაწესებულებათაგან პენსიის მიღების უფლება აქვს ყველას, ვინც კვალიფიცირებული იქნება, როგორც მეცნიერი მუშაკი და აღრიცხული განათლების მუშაკთა სამეცნიერო სექციაში.

განათლების სახ. კომისარის მოადგ. **მ. ორახელაშვილი.**

სოც. უზრუნ. სახ. კომისარი **ვაშაკიძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგ. **ი. ფანცხავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 12. ინსტრუქცია

**ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 15 დეკემბრის დადგენილების შესაფარდებლათ სწავლისა და აღზრდის დაწესებულებებში მასწავლებელთა დანიშვნის წესის შესახებ.**

სწავლისა და აღზრდის დაწესებულებებში მასწავლებელთა დანიშვნის წესის შესახებ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წლის 15 დეკემბრის თარიღით გამოცემულ დადგენილების მე-3 მუხლის საფუძველზე (ს. ს. ს. რ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული № 1, 1929 წ. მუხ. 15),—განათლების სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სახალხო განათლების ორგანოებს, რომლებიც სარგებლობენ პედაგოგიურ პერსონალის მიღების და დათხოვნის უფლებით, მოითხოვონ მასწავლებლის თანამდებობაზე დანიშვნის დროს წარმოდგენა საბუთებისა მიღებულ განათლების და გატარებულ სამსახურის შესახებ.

2. ექვივალენტობა საბუთებისა ძველი სასკოლო სისტემით მიღებულ განათლების შესახებ, იმ საბუთებთან, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან ზემოაღნიშნული კანონით, დაწესდება განათლების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული დადგენილებით.

**შენიშვნა.** საზღვარგარეთ მიღებულ განათლების შესახებ საბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, ამ საბუთების ექვივალენტობა ამა თუ იმ სასწავლო დაწესებულებაში მასწავლებლობის უფლების მინიჭების მხრივ ყოველ კერძო შემთხვევაში მოწესრიგდება განათლების სახალხო კომისარიატის მიერ.

3. როდესაც დადასტურებულ იქნება, რომ დასანიშნავი პედაგოგიური პერსონელი შეესაბამება ზემოაღნიშნულ დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს, წარმოდგენილი საბუთების დედანი ან მათი სათანადოთ შემოწმებული ასლები უნდა დატოვებულ იქნეს ამ სასწავლო ან სწავლა-აღზრდის დაწესებულების საქმეებში მუდმივ შესანახათ.

4. პედაგოგიურ პერსონალის დანიშნის დროს განთავისუფლებულ ან ახლად დაარსებულ თავისუფალ თანამდებობაზე პირველ რიგში უნდა გამოყენებულ იქნენ ის პირნი, რომელთაც აქვთ შესაფერისი ცენზი და კვალიფიკაცია და იმყოფებიან შრომის სახ. კომისარიატის ადგილობრივ საშუამავლო ორგანოთა აღრიცხვაზე. უკეთუ საშუამავლო ბიუროს არ მოეპოვება საჭირო კვალიფიკაციის კანდიდატები, ასეთების ამორჩევა სწარმოებს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც იმყოფებიან განათლების მუშაკთა კავშირის ადგილობრივ ორგანოების აღრიცხვაზე.

5. ის პირნი, რომელთაც სურთ დაიკავონ სამასწავლებლო თანამდებობანი და არ აკმაყოფილებენ საქართველოს სახკომსაბჭოს ზემოთაღნიშნულ დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს, უნდა გატარებულ იქნენ გამოსაცდელათ განსაკუთრებულ საკვალიფიკაციო კომისიებში, რომლებიც დანიშნებიან, განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლის მონაწილეობით, ადგილობრივი გა-

ნათლების განყოფილების ან განათლების სახალხო კომისარიატის სათანადო მთავარმმართველობის მიერ, კუთვნილებისამებრ. აღნიშნული კომისიები შედიან ამ პირთა კვალიფიკაციის შეფასებაში და მიიღებენ მხედველობაში განათლების ცენზს, პრაქტიკულ სტაჟს და საერთო მომზადებას.

6. შეუფერებლობა იმ პირობებთან, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად იმ პედაგოგიური პერსონალის დათხოვნას, რომელიც სამსახურში იმყოფებოდა ამა ინსტრუქციის გამოცემამდე.

7. არ შეიძლება დანიშვნა მასწავლებლის თანამდებობაზე იმ პირების:

ა) რომელთაც სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოებში სამსახური აკრძალული აქვთ სასამართლოს განაჩენით, ბ) რომლებიც მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებებს, გ) რომლებსაც არ მიუღწევიათ შრომის კანონთა კოდექსით დაქირავებულ შრომის პირთათვის დაწესებულ წლოვანებას, დ) სარწმუნოების მსახურნი და ე) რომლებიც, პირადათ ან მათ მიერ დაყენებულ პირთა საშუალებით, არიან მონაწილენი რაიმე კერძო ეპარრობის ან სამრეწველო საწარმოსი, აწარმოებენ სანარდო სამუშაოს და გაყიდვა-მიწოდებას, იმყოფებიან ამა თუ იმ ფორმით სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მიმართ საეპარო ხასიათის ურთიერთობაში.

**შენიშვნა.** ის პირნი, რომლებიც წინეთ ირიცხებოდენ სარწმუნოების მსახურებათ, და შემდეგ მიატოვეს ეს საქმე, შეიძლება მიღებულ იქნენ სამუშაოზე მხოლოდ განათლების სახ. კომისარიატის ან მისი ადგილობრივ ორგანოების ნებართვით.

ინსტრუქცია მთლიანად შეთანხმებულია განათლების მუშაკთა კავშირთან.

განათლებ. სახ. კომისარი **დ. კანდელაკი.**

1929 წ. მაისის 23.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1072 დაიბეჭდა 1.000